სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №402
(კონსოლიდირებული ტენდერი №CON170000042)

ქ.თბილისი 14 აგვისტო, 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის თამარ მახარაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პენსან ჯორჯია" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგა გობიანიძის სახით, A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტის №2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2017 წლის A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის №2336 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ცენტრის 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საჭიროებებისთვის, A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV – 30197630) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 3050 (სამი ათას ორმოცდაათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი

---------- ----------

მიმწოდებლის წარმომადგენლის ხელმოწერა შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა

წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მატერიალური რესურსების სამმართველოს უფროსი ან ამავე სამმართველოს საწყობის გამგე.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება განხორციელდება მღებ-ჩაბარების აქტის საფუძველზე ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ეტაპობრივად, 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, შემსყიდველის ყოველი მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველის მისამართზე (ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1, ნულოვანი სართული, ცენტრის საწყობი).

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

გ) პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას.

ბ) სატენდერო კომისიას მიმართოს, შესაბამისი დასაბუთებით, საბეჭდი ქაღალდის ხარისხის გაუარესების თაობაზე, კომისიას უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

მიმწოდებლის წარმომადგენლის ხელმოწერა

შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა

მუხლი 7. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მატერიალური რესურსების სამმართველოს უფროსი ან ამავე სამმართველოს საწყობის გამგე.

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების შემოწმებას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოფს კონტროლის ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. შემსყიდველის მიერ კონტროლის მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4. ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%.

8.2. საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შესყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

მიმწოდებლის წარმომადგენლის ხელმოწერა

შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 13. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „პენსან ჯორჯია“
მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N18
ტელეფონი: (995 32) 2 355844; მობ.: 599743373
საიდენტიფიკაციო კოდი: № 404 870 760
საბანკო რეკვიზიტები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
საბანკო კოდი: UGEBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
№ GE35VT6500000055555555

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, 0193, მ. ალექსიძის ქ. №1
ტელეფონი: (+995 32) 2 200220 (3515)
საიდენტიფიკაციო კოდი: №202330566
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა: GE24NB0330100200165022

მიმწოდებლის წარმომადგენლის ხელმოწერა

შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა

დანართი №1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია შემდეგი დასახელების საქონელი:

N	**დასახელება, ტექნიკური მაჩვენებლები და განზომილების ერთეული**	**შესყიდვის მიზანი**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი (ლარი)**	**საერთო ფასი (ლარი)**
1	პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი Ballet Universal (მწარმოებელი ქვეყანა -რუსეთი); გრამაჟი (გრ/მ²) 80 გრ; გაუმჭვირვალობა 92%; სიკაშკაშე არანაკლებ 95%; სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით) –150%; ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა; ქაღალდი დამზადებულია ქლორის გამოყენების გარეშე (გააჩნია ECF სერტიფიკატი); ქაღალდი განკუთვნილია ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლ გადამღები აპარატებისათვის და ორმხრივი ბეჭდვისათვის. 500 ფურცლიანი შეკვრა	ცენტრის საჭიროებისათვის	500	6,10	3050
სულ				3050 ლარი	

PENSAN GEORGIA LTD

Pensan Georgia

მიმწოდებლის წარმომადგენლის ხელმოწერა

შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა